კავკასიის ტურიზმის სკოლა (CTS)

“2016 წელს ჩავაბარე კავკასიის უნივერსიტეტში და ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი ყველაზე სწორი არჩევანი იყო ჩემს ცხოვრებაში. 2020 წელს დავამთავრე CTS და 4 წლის მანძილზე შევძელი ფაკულტეტზე რეიტინგით N1 სტუდენტის სტატუსის შენარჩუნება, რაც მარტივი არ ყოფილა, თუმცა უდიდესი შედეგის მომტანი აღმოჩნდა.

2020 წელს შევუერთდი საქართველოში ლიდერ მენეჯმენტ საკონსულტაციო კომპანია - C-team-ს, სადაც შევძელი უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის მაქსიმალურად გამოყენება და უცხოური გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციურ გუნდთან ერთად საქართველოში უმსხვილეს კომპანიებთან თანამშრომლობა. დღეს კომპანიის პროექტების მენეჯერის პოზიციას ვიკავებ და ვმართავ სტრატეგიული და ორგანიზაციული რესტრუქტურიზაციის პროექტებს ისეთ კომპანიებში, როგორებიც არიან: PSP, IDS Borjomi, Element Construction, GRID Construction, CMC და სხვა.

ასევე, 2021 წელს გავხდი სერტიფიცირებული ISO სპეციალისტი ISO:9001, ISO:45001 და ISO:19011 მიმართულებებით.

2021 წლიდან სწავლას ვაგრძელებ ბიზნეს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე და ვფიქრობ, წინ კიდევ მრავალი მწვერვალის დაპყრობას შევძლებ. მთავარია შრომა, მონდომება და სურვილი გახდე იმაზე უკეთესი, ვიდრე დღეს ხარ!”